



1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე - მეთევზეობა/Fisheries
2. მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე

საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია მეთევზეობაში/ Secondary Vocational Qualification in Fisheries

აღნიშნული კვალიფიკაციები განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - მეთევზეობა - კოდი 0831. აღმწერი - *”შეისწავლის თევზისა და ზღვის სხვა საკვები პროდუქტების მოშენებას, გამრავლებასა და პროდუქციის მიღებას“.*

3. მიზანი: პროფესიული პროგრამის მიზანია, მომზადდეს კვალიფიციური მეთევზე, რომელიც შეძლებს ფერმერობას მეთევზეობაში.

4. დაშვების წინაპირობა/წინაპირობები: სრული ზოგადი განათლება, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება

5. დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:

კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები: „ფერმერობა მეთევზეობაში“/ Farming in fisheries - კონცენტრაციის გავლის შემდეგ პირს შეუძლია მართოს მეთევზეობის ფერმერული მეურნეობა, დასაქმდეს ფერმერულ მეურნეობებში და საწარმოებში, ასევე თევზსაშენებში, შეუძლია თვითდასაქმება.

სოფლისმეურნეობის სამინისტროს მიერ დასაქმების პოზიციების ჩამონათვალიდან დასაქმების პოზიციები - მეთევზეობის დარგის კვალიფიციური იმუშაკები: თევზმომშენებელ-ოპერატორი, თევზმომშენებელ-ტექნიკოსი, ფერმერი-თევზმომშენებელი.

- ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი: 10.2; 03
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდი: 7511; 8160

6. სტრუქტურა და მოდულები:

„მეთევზეობის“ პროგრამა აერთიანებს ერთ პროფესიულ კვალიფიკაციას, კონცენტრაციით - „ფერმერობა მეთევზეობაში“, რომელიც მოიცავს 5 ზოგად მოდულს-15 ჯამური კრედიტის რაოდენობით, 13 პროფესიულ მოდულს-55 ჯამური კრედიტის რაოდენობით და კონცენტრაციის „ფერმერობა მეთევზეობაში“ 5 სავალდებულო პროფესიულ მოდულს - 30 ჯამური კრედიტის რაოდენობით. კვალიფიკაციის მისანიჭებლად ქართულენოვანმა პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად 100 კრედიტი, ხოლო არაქართულენოვანმა სტუდენტმა 130 კრედიტი, რომელთაგან 100 კრედიტს ემატება ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 მოდულები (30 კრედიტი)

პროგრამის ხანგრძლივობა:

ქართულენოვანი სტუდენტებისათვის 18 თვე;

არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის 23.5 თვე

№	ზოგადი მოდულები	კრედიტი
1.	ინფორმაციული წიგნიერება 1	3
2.	ინტერპერსონალური კომუნიკაცია	3

3.	რაოდენობრივი წიგნიერება	2
4.	უცხოური ენა	5
5.	მეწარმეობა 2	2
ჯამი:		15
№	საერთო პროფესიული მოდულები	კრედიტი
1.	გაცნობითი პრაქტიკა მეთევზეობაში	1
2.	ნივთიერებათა კლასიფიკაცია და თვისებების განსაზღვრა	7.5
3.	მიკრო ბიოლოგიის საფუძვლები	3
4.	აკვაკულტურის საფუძვლები	7.5
5.	მეთევზეობის ფერმერული მეურნეობის მართვა	5
6.	თევზის საარსებო გარემოს ოპტიმიზაცია	5.5
7.	გარემოს დაცვა მეთევზეობაში	2
8.	შრომის უსაფრთხოება თევზისა და ზღვის პროდუქტების ლაბორატორიული კვლევისათვის	3
9.	სამუშაო გარემოს ორგანიზება თევზის გადამამუშავებაში	4
10.	სურსათის უვნებლობის საფუძვლები მეთევზეობაში	2
11.	თევზისა და ზღვის პროდუქტების მიღება და პირველადი დამამუშავება	7.5
12.	ლაბორატორიის ხარისხის სისტემების მენეჯმენტი	2
13.	თევზიდან/ზღვის პროდუქტებიდან, თევზისსაკვებიდანდათევზისსაარსებო გარემოდან ნიმუშის აღება	5
ჯამი:		55
№	კონცენტრაცია - ფერმერობა მეთევზეობაში	კრედიტი
1.	თევზისფიზიოლოგიურიმდგომარეობისშეფასება	4
2.	თევზისკულტივირებისორგანიზება	9
3.	თევზისგამოზრდა	5
4.	თევზის კვება	6
5.	თევზისჯანმრთელობისუზრუნველყოფა	6
ჯამი:		30

7. მისანიჭებელი კვალიფიკაციისსწავლის შედეგები:

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. განახორციელოს თევზის საარსებო გარემოსოპტიმიზაცია;
2. მართოსგარემოზე ზემოქმედება მეთევზეობაში;
3. დაიცვას შრომის უსაფრთხოების წესები თევზისა და ზღვის პროდუქტების ლაბორატორიაში;
4. უზრუნველყოს სამუშაო გარემოსორგანიზებათევზის გადამამუშავებაში;
5. მიიღოს თევზი და ზღვის პროდუქტები;
6. განახორციელოს მათი პირველადი დამამუშავება;
7. მართოს მეთევზეობის ფერმერულიმეურნეობა;
8. შეაფასოსთევზის ფიზიოლოგიურ მდგომარეობა;
9. განახორციელოს თევზის კულტივირების ორგანიზება;
10. გამოზარდოს თევზი;
11. გამოკვებოს თევზი;
12. უზრუნველყოს თევზის ჯანმრთელობა და კეთილდღეობა.

8. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეულისსწავლისშედეგებისადიარებით (ჩათვლა);

ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული დადასტურება განათლების დამცვენიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;
გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

სწავლის

შედეგების

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება:

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები მოცემულია მოდულებში.

პროგრამა მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას (*მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათმორისი, კულტურათათმორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა*), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

მართლმეტყველება

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ქესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემპრის ცვალებადობა).

მართლწერა

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;
- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

11. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება

პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში, რომელშიც სწავლის შედეგების 50% -ზე მეტი რეალურ სამუშაო გარემოში მიიღწევა, კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.